წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76 შაბათი ივლისს 29 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს ნახევ. 5 მ. გამომცხადებლისა. ნამუადლევზე 2 სათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისის ქ. ს. მეძმარიშვილის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 91 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 91

# მოქალაქენო,

# მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-

## დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო

# სიას!

# № 4

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სია:

1. წერეთელი ვასილ გიორგის ძე—ექიმი, პუბლიცისტი.
2. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე—საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი, თავმჯდომარე საისტ. და საეთნ. საზოგადოების, საგუბ. აღმასრ. კომიტეტის წევრი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი.
3. კვირკველია დავით ბესარიონის ძე—ნაფიცი ვექილი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
4. ჭურაძე (?) — შურადაშვილი ივანე ისაკის ძე—მმართველი აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
5. ხმალაძე ლაზარე ვასილის ძე—პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. მაჭავარიანი ზაქარია კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
7. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე—ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
8. მახარაძე რომანოზ ქაიხოსროს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
9. იაკობიშვილი შიმშონ შალომის ძე—კომერსანტი.
10. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე—მრეწველი, ქუთაისის ვაჭართა ამამასახლისი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
11. ბარაბაძე ნესტორ სერგოს ძე—კომერსანტი.
12. ელიგულაშვილი არონ იაკობის ძე—კომერსანტი.
13. ჯაფარიძე ალექსანდრე რომანოზის ძე პედაგოგი, ქალაქის სასურსათო კომ თავმჯდომარე.
14. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე—ლიტერატორი
15. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე—ფილოსოფიის დოქტორი, პუბლიცისტი.
16. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი, პუბლიცისტი.
17. ჩარკვიანი აბესალომ სიმონის ძე—ექიმი.
18. ყიფიანი სამსონ გიორგის ძე—პედაგოგი, პუბლიცისტი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19. კოკოჩაშვილი შალვა ვასილის ძე—ექიმი.
20. ყაუხჩიშვილი მარიამ იოსების ასული—ქალთა კერძო გიმნაზიის უფროსი.
21. დორთქიფანიძე სიმონ ნიკოლოზის ძე ექიმი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
22. ბახტაძე სერგო ლუკას ძე—იურისკონსულტი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
23. ჭავჭანიძე მიხეილ ივანეს ძე—კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24. ცინცაძე იაკობ თომას ძე—პედაგოგი, იურისტი, ბელეტრისტი.
25. ოცხელი იოსებ ივანეს ძე—ქართული გიმნაზიის დირექტორი, ქუთაისის საგუბერნ. სამოსწავლო კომისარიატის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
26. ფხაკაძე (?) ფალავანდიშვილი ვასილ ივანეს ძე—აგრონომი.
27. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე—მომრიგებელი მოსამართლე.
28. გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პედაგოგი. სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე, მწერალი.
29. ჯორჯიკია სპირიდონ ბესარიონის ძე—პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
30. ჭოდოშვილი გიორგი სიკოს ძე—ხელოსანი.
31. ყიფიანი დავით ლუარსაბის ძე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი.
32. მთავრიშვილი თომა აბრამის ძე—პედაგოგი კომერსანტი.
33. ექსანოვი ფრანცი გრიგოლის ძე—კომერსანტი.
34. ხაბურზანია ანტონ სტეფანეს ძე—უფროსი ნოტარიუსი.
35. ნიჟარაძე ალექსანდრე სიმონას ძე—პედაგოგი.
36. დოდობერიძე დავით სიმონის ძე—დამზღვევ საზოგადოების „როსსიის“ ინსპექტორი.
37. ალავიძე ალექსანდრე თომას ძე—მიწის მზომელი.
38. გიორგობიანი ვლასი დავითის ძე—წვრილი კრედიტის ინსპექტორი.
39. ლორთქიფანიძე მიხეილ ლევანის ძე—ექიმი.
40. მაჭავარიანი თომა სამსონის ძე—კერძო ვექილი.
41. ოურემიძე დომენტი თომას ძე—პედაგოგი, მწერალი.
42. ჩარექოვი იაკობ იოსების ძე—ექიმი.
43. არსერიშვილი იერინომ მიხეილის ძე—სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.
44. პატარიძე პორფილე ივანეს ძე—ხელოსანი
45. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე—ჟურნალისტი.
46. მესხი ისაკ ალმასხანის ძე—ხელოსანი.
47. წერეთელი ვლადიმერ ჯიბოს ძე—მრეწველი.
48. გაბაშვილი ისონ ბესარიონის ძე—პედაგოგი.
49. მამაცაძე ტარასი დავითის ძე—პედაგოგი.

## რუსეთი განსაცდელშია.

რუსეთის დროებითი მთავრობა დიდ რყევაშია, რევოლუცია განსაცდელშია; თვით ახალი მთავრობის სახე საბოლოოთ არ გამოირკვა, ძველის დანგრევაში ყველა შეთანხმდა. მაგრამ ახალის აშენება სხვადასხვა გზით მოინდომეს; აქ უთანხმოება დაიბადა, რამაც ახალ მთავრობას მოქმედება გაურთულა და დასახული მიზნის განხორციელება გაუძნელა. დროებითი მთავრობა ერთ გარკვეულ გზას ვერ დაადგა. სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების პირები პოლიტიკურმა მომენტმა ვერ შეაერთა. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების საჭეს სოციალისტები მარცხნით ეწევიან, კადეტები კი მარჯვნით. დროებითი მთავრობა ეს ოთხი თვე სასტიკ რყევაშია და ერთ გადაჭრილ გზას ვერ დაადგა; ოთხჯერ შეიცვალა მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ ძალთა მორიგება მაინც არ მოხდა. ყოველ შემთხვევაში ცხადათ დამტკიცდა, რომ არც ინტელიგენციაში პოლიტიკური ერთსულოვანება, არც ხალხშია საკმაო პოლიტიკური შეგნება.

ის, რაც ამ ოთხ თვეში მოხდა რუსეთის კერძო და საერთო ცხოვრებაში, ნათლათ გვიმტკიცებს, რომ დროებითმა მთავრობამ ცხოვრებას ალღო ვერ აართვა და ხალხი მთავრობას არ ენდობა და არც ყურს უგდებს. საუბედუროთ რევოლუციამ რუსეთში საოცარი უწესობა, ანარხია დაამკვიდრა, რის აღმოსაფხვრელათ დიკტატურაც კი საჭირო შეიქნა. თვით დიკტატურა გაუგებრობის და მწარე აუცილებლობის ნაყოფია, რასაც საეჭვოა, რომ რამე სახეირო შედეგი მოყვეს. დროებითი მთავრობის ნაყოფიერ მუშაობას და რევოლუციის სასარგებლოთ დაბოლოვებას ბევრი რამ უშლის ხელს, მაგრამ უმეტესათ კი ეროვნული საკითხის გადაწყვეტა.

ეროვნული საკითხი რუსეთის მთავრობისათვის სწორეთ გორდის ნასკვია, რომლის გამოხსნაც ჯერ ვერავინ მოახერხა. ეროვნული საკითხი რუსეთისთვის დამოკლეს მახვილია, რომლის ქვეშაც ძველი მთავრობაც თრთოდა შიშით და ახალსაც გული უძიგძიგებს. ეროვნული საკითხის გამო რომ რუსეთი განსაცდელშია და ამ განსაცდელის უვნებლათ გავლა რუსეთს სასტიკათ უჭირს, — ეს მთელმა ევროპამ კარგათ იცის და ნამეტურ გერმანიამ. რევოლუციის პირველ დღეებშივე ერთმა გერმანელმა მწერალმა თამამად სთქვა, რომ რუსეთი რევოლუციას მოინელებს, რადგან, რაც უნდა ეცადოს და საქმე გაასწოროს, ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში მაინც ფეხს მოიტეხსო. მართლაც რუსეთი განსაცდელშია. რუსეთის მთავრობის წინაშე უწინაც და მით უმეტეს ახლაც ასეთი დილემა სდგას: მისცეს ყოველ რუსეთში მცხოვრებ ერს შესაფერი თავისუფლება თუ არა? მთავრობამ დროებითია იგი, თუ მუდმივი, სოციალისტურია, თუ ბურჟუაზიული, ორში ერთი უნდა ირჩიოს: ან უნდა მისცეს, ან არა. მისცეს—ის აშინებს, რომ ამით რუსეთის მთლიანობა დაიშლება და რუსთა უპირატესობა სახელწიფოში მოისპობაო. არ მისცეს და, —ისე ერთა შორის მჭიდრო კავშირი არ ხერხდება და უამისოთ კი სახელმწიფო ყოველმხრივ სუსტია. რუსეთში ბევრი გულნატკენი ერი ცხოვრობს, რუსეთში ბევრი ისეთი ერი ცხოვრობს, რომელსაც ეთნოგრაფიულათ რუსებთან თითქმის არაფერი საერთო არა აქვს. რუსეთში ბევრი ისეთი ერი ცხოვრობს, რომელსაც პოლიტიკური სიმწიფით, გონებრივი სიმაღლით და ნივთიერი სიმდიდრით თუ დამოუკიდებლობა არა, სრული ეროვნული თავისუფლება მაინც ეკუთვნის.

როგორ ექცევოდა რუსეთის მთავრო-

# დღეს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე — რუსეთი განსაცდელშია.

პრესა

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. უცხოეთი. უკანასკნელი ცნობები. რუსეთი. ეროვნული კითხვა. ახალი ამბავი.

---

თავზარ დაცემულნი: პოდპორუჩ. აპოლონ როსტომის ძე და ფუცე ზურაბ ელიავას ასული, ალლა, ემილია, პოლინა, ვენერა, პორუჩ. არდალიონი, სორისი, კაკო, ჟორჟიკა და მარიკა მიქელაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, პირველნი საყვარელი შვილისა, მეორე ძვირფასი მეუღლის და მესამენი დაუვიწყარი ძმისა

კაპიტონი ტიტიკო (ევგენი) აპოლონის ძის

მიქელაძის

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია 30 ივლისს დღით კვირას 6 საათზე ახალი დროით ბალის ქუჩის მეორე შესახვევი ქომეთიანის სახლი.

---

გულ-დათუთქული: მამა გიორგი; დედა ნატალია: ძმები: ალექსანდრე. სპირდონ, დავით, კონსტანტინე, ირაკლი, ილია, პავლე; რძლები: ელენე, ნინო და ძმის შვილები ოლია და გოგია ხმალაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 26 ივლისს გარდაიცვალა აბასტუმნის გზაზე

დიმიტრი (მიტია) გიორგის ძე

ხმალაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე, კვირას 30 ივლის, შუადღის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. ქ. ქუთაისში არქიელის მოაზე, ჩიმაკაძის სახლში. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

---

კვირას, 30 ივლისს, საფიჩხიის ეკლესიაზე წირვის შემდეგ, 11 საათზედ გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

სეფე ივანეს ძე მხეიძის

სულის მოსასხსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი მეუღლე მისი მარიამ კონსტანტინეს ასული მხეიძისა და ძმა მისი ალექსანდრე ივანეს ძე მხეიძე დებითურთ.

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

## პარტიის ქუთაისის კომიტეტი

## იწვევს პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრებებს

### 1. ცენტრალური უბანი:

კვირას, 30 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში (ჭავჭავაძის ქუჩა) გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

კრების საგანი: ქალაქის საბჭოს არჩევნები.

მომხსენებელნი: ტრ. ჯაფარიძე ტ. მარგველაშვილი.

### 2 წყალგაღმა უბანი:

კვირას, 30 ივლისს, დილის 10 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

კრების საგანი: ქალაქის საბჭოს არჩევნები

მომხსენებელნი: ტრ. ჯაფარიძე, ტ. მარგველაშვილი.

---

ბა ასეთ ერებს უწინ როგორ ექცევა ახლა?

რომანოვების დროს არც ერთ რუსეთში მცხოვრებ ერს თავისუფლება აქ ჰქონდა, არც ერთ ერს შინაური თვიმართველობაც არ ჰქონია. ახლა ამ რევოლუციის დროს ახალმა, დროებითმა მთავრობამ ვითომც დააპირა ძველი ცოდვების გასწორება, მაგრამ ასეთი განზრახვა როგორც მერე გამოირკვა, სიჩქარის ნაყოფი ყოფილა.

დროებითმა მთავრობამ ეროვნული თვით გამორკვევის პრინციპი საჭიროთ გამოაცხადა, შემდეგ, როცა ამ პრინციპის ძალით ზოგიერთმა ერმა რიგიანი დეკლარაციით მიჰმართა ახალ მთავრობას, მთავრობამ უკან დაიწია და საქმე გადასდვა. ამ შემთხვევამ ყველა ძლიერ ჩააფიქრა, ბევრს ეჭვები დაებადა, ბევრს იმედი გაუცრუვდა ყოველივე ეს კი რევოლუციას აფეხრებს.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში რუსი-რუსია, სოციალისტია იგი თუ ლიბერალი, სულ ერთია. სიტყვით ზოგიერთი ვითომც მომხრეა ეროვნული საკითხის სამართლიანათ გადაწყვეტისა, მაგრამ საქმით ეს არ მართლდება. გულში ყველას არა აქვს, რასაც ჭეშმარიტი რუსები აშკარათ გაიძახიან „ჩვენ ბატონობა, სხვა ერებს მონობა“. ავტონომიის საკითხი დღეს იმდენათ საჭირო სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, რომ პოლიტიკურათ განვითარებულ ადამიანს ამის ახსნა აღარ სჭირდება, მაგრამ რუსეთის ინტელიგენცია მაინც ისეთი ყალბი შეხედულობით არის აღჭურვილი, რომ ამ სინამდვილეს ვერ ხედავს. რუსეთის მოწინავე ნაწილი თუმცა ხედავს სახელმწიფოს გაჭირვებას და გულდასერილი უყურებს დღევანდელ აღმაშფოთებელ სურათს, მაგრამ მაინც არ კარგავს იმ რწმენას, რომ რუსეთში ველიკოროსთა უპირატესობა უნდა იქნეს და ყოველი ერი, რომელიც კი სცხოვრობს სახელმწიფოს შემოხაზულებაში ისევ პოლიტიკურათ და კულტურულათ შეზღუდული უნდა დარჩეს. რუსეთის მოწინავე ნაწილს კიდევ სჯერა, რომ ნამდვილი თავისუფლება ველიკოროსების თვის უნდა იქნეს და სხვას ეს თავისუფლება ფრთა შეკვეცილი უნდა მიეცეს. აი ეს არის, რომ საქმეს აფუჭებს, ეს არის, რომ სახელმწიფოს წინმსვლელობას აჩერებს და მომავალშიც განსაცდელს უმზადებს. მსოფლიო ომი იყო საჭირო და რევოლუციის გარღმავება შეიქნა აუცილებელი, რომ რუსეთის მესვეურებს ყალბი რწმენა ცოტათ მაინც შერყევოდათ. მართლაც მოხდა რაღაც რყევა, მაგრამ, როგორც ვხედავთ სწორი გზისკენ მაინც საქმე ვერ მიდის და კონტრ რევოლუცია ძველის აღდგენას ლამობს. ძველი არ აღსდგება. მაგრამ თვით სურვილი და ცდა ასეთი ყალბი მიმდინარეობისა რუსეთს ბევრ უბედურებას დაატეხს თავზე. რუსეთი ტანჯვას განიცდის და ამას ბოლო არ მოეღება, სანამ ეროვნული საკითხი წესიერათ და სამართლიანათ არ გადაწყდება. რუსეთი ეროვნული საკითხის დილემის წინაშე იდგა და დღესაც იქავე სდგას.

როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში ჩვენ, ქართველები? ამაზე შემდეგ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

---

## პრესა

### ხარლამოვი და კავკასია.

გაზ. „სახალხო საქმე“, წერილს უძღვნის პეტროგრადში ხარლამოვის მიერ გაკეთებულ განცხადებას კავკასიის სიწყნარის შესახებ. როგორც გაზეთებიდან უკვე ვიცით ხარლამოვის განცხადებამ, რომ ეროვნული მოძრაობა სრულებით არ არის კავკასიაში, თავრობის მადლობა გამოიწვია კავკასიისადმი. ამ მადლობის შესახებ გაზეთი ამბობს:

გულუბრყვილო ადამიანი შეიძლება აღტაცებაში მოვიდეს ხარლამოვის დახატულ სურათით, თუ მთავრობა მადლობას გამოგვიცხადებს — მეტი რაღაა ჩვენი ნატვრა და ოცნებაო. მაგრამ არა, არც ერთი ერის დემოკრატია იმიტომ არ იბრძვის, რომ მადლობა მიიღოს. სავალალო სწორედ ის არის, რომ ბ-ნ ხარლამოვის მოხსენებამ კავკასიის საქმეების მხრივ მხოლოდ მადლობა გამოიწვია.

შემდეგ ხაზს უსვამს ხარლამოვის მოხსენების დიდ ნაკლს:

პირდაპირ საოცარია, რომ ხარლამოვმა ხაზი არ გაუსვა კავკასიის განსაკუთრებულ ცხოვრების პირობებს და ერების არსებობას, იმ სინამდვილეს, რომ კავკასიის ყოველი ერი მისწრაფის ეროვნულ თავისუფლებას და ამისათვის მიუცილებლად საჭიროა დაუყონებლად ავტონომიის პრინციპიალური გამოცხადება, რაიცა აღიარა რუსეთის მუშების და ჯარის კაცების საბჭოებმა.

მთავრობამ მადლობის გამოცხადება ავტონომიაზე სასარგებლოდ მიიჩნია კავკასიის ერებისათვის. ეს გზა არ ახალია იგი ძველი მთავრობის მიერაც ნაცადი არის.

ძველად მთავრობა გვეუბნებოდა: კავკასიელები ველურები ხართ, ერობის ღირსიც არა ხართ, ავტონომიას როგორ მოუვლითო. ეხლა კი გამოირკვა, რომ კავკასია კულტურულადაც თვალის ჩინია რუსეთისათვის, მაგრამ არც ეხლა გვაძლევენ სათანადო უფლებებს და ავტონომიას. მაშ როდის და ვისგან, უნდა მივიღოთ საჭირო უფლებები?

თუ გაზეთი ასეთ კითხვას სვამს, ჩვენ მას ვუპასუხებთ, რომ სხვის ხელში შემყურე და წყალობის მომლოდინე არა დროს არაფერს არსებითს არ მიიღებს. მონისთვის მადლობაც დიდი რამეა. ხარლამოვმა და მისმა უფროსმა კოლეგებმაც კარგად იციან, რომ მათგან წყალობას მოელიან და ისედაც იქცევიან, როგორც ბატონს შეეფერება, თავის „მოწყალებას“ არ აკლებენ მათ ხელში შემყურე ქართველებსა და კავკასიის სხვა ერებს. როგორც ძველად იყო უმაღლეს მადლობას უგზავნიან მათ ფეხებთან გართხობილ წვრილ ერებს.

„არა, ჩვენ არ გვინდა მარტო მადლობის ხანა, მადლობის სისტემა მოიისპო თვითმპყრობელობის მოსპობისთანავე“.

როგორც ხედავთ ჯერ კიდევ არა! გაზეთი განაგრძობს:

„ეხლა უფლებებია საჭირო და თუ ამ უფლებას არ მოვიპოვებთ უფლებითა და სამართლიანის გზით, მაშინ დემოკრატია მოიპოვებს რევოლიუციურ სამართალის საშუალებით“.

ამაზე ლაპარაკიც კი მეტია ვინაიდგან.

სამი წელიწადია კავკასიის ერები იცდიდნენ და ითმენდნენ, სამი წელიწადი სისხლს ღვრიდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ყოველი წვეთი სისხლი დაკარგულად ჩაეთვლება კავკასიის ყოველ ერს თუ ის ოცნების საგანს ველარ მიაღწევს.

გაზეთი ჰკვირობს:

„ნუ თუ ამ მისწრაფების ძალა ვერ იგრძნო კავკასიაში ხარლამოვმა? ნუ თუ მის გრძნობასა და ხალხის გრძნობათა შორის ისეთი კედელი იყო აღმართული, რომ პეტროგრადში ვერაფერი სთქვა კავკასიის ერების საჭიროებისათვის? მაგრამ რად არ ფიქრობს ბატონი ხარლამოვი, რომ მაშინ მისი მადლობაც ხალხის კედელს დაენარცხება და ხალხის კედელს დაენარცხება და ხალხის გულს აღარ მიეკარება?

რად დასძრავდა სიტყვას ხარლამოვი მაგალითად ქართველების ეროვნულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, როდესაც ის აქ ადგილობრივ დარწმუნდა, რომ ჩვენ თვითონ ვერ გამოვიჩინეთ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ ჩვენ თვითონ გვეთქვა მოქალაქეობრივი სიტყვა ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ.

---

## რევოლუციის ამბები.

### პ. ტ. ს.

### დეპეშები.

#### საბჭოების სხდომა.

პეტროგრადი. ივლისის 25. მუშ., ჯარ. და გლეხ. დეპ. აღმ. კომიტეტების სხდომამ დან-ის მიერ შემოტანილი რეზოლუცია მიიღო. ბოლშევიკებმა და ინტერნაციონალისტებმა თავი შეიკავეს. ბოლშევიკთა ერთმა ნაწილმა ცალკე რეზოლუცია შემოიტანა, მაგრამ კრებამ არ მიიღო. სხდომის დახურვისას ჩხეიძემ პროვინციელ დელეგატებს მოუწოდა, ხალხში იქადაგეთ, რომ მხარი დაუჭირონ მთავრობას; მას ერთად ერთს შეუძლიან გადაარჩინოს ქვეყანა და განამტკიცოს რევოლუციის გამარჯვებაო. ივლისის 25 დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ.

#### მუშა ხელის ნაკლებობა რკინის გზაზე.

პეტროგრადი. ივლისის 24. რკინის გზაზე დიდი ნაკლებულობაა მუშა ხელის. ამის გამო გზათა მინისტრმა თხოვნით მიჰმართა სამხედრო მინისტრს, რომ ნება დართონ სახლში მიმავალ ჯარისკაცებს რკინის გზებზე შევიდნენ სამსახურში.

#### „წითელი ჯვრის“ მოხელეთა ჯარში გაწვევა.

პეტროგრადი. ივლისის 21, პეტროგრადის ოლქში ბრძანება გაიცა, რომელიც განმარტავს რომ თუ „წითელი ჯვრის“ მსახურნი ჯარში გაიწვიეს, მათ პირდაპირ ჩანიშნავენ უბრალო ჯარისკაცებად სამხედრო ნაწილებში.

#### ხმოსნების რიცხვი.

პეტროგრადი. ივლისის 24. მოდის ცნობები, რომ საერობო კრებათა და საქალაქო საბჭოთა ხმოსნების რიცხვი სჭარბობს დროებითი მთავრობისაგან დადგენილ 100 პროც. შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ სამინისტრო წინააღმდეგი არ არის ამ სა, ოღონდ ყოველი საშუალებით ეცადეთ, რაც შეიძლება ჩქარა მოახდინოთ ახალი არჩევნები საქალაქო საბჭოებში სამაზრო თუ სავოლოსტო ერობებში.

#### საზღვარგარეთ ნასწავლ ექიმების საქ...დებით.

პეტროგრადი. ივლისის 21. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია კანონპროექტი, რომ საზღვარ გარეთის უნივერსიტეტებში სწავლა დამთავრებულ რუსეთის მოქალაქეთ, რომლებიც მიიღებენ საექიმო დიპლომებს 21 ...ისთვემდე 1917 წლისა, ნება მიეცეთ ექიმობისა რუსეთში.

#### დრ. მთავრობის სხდომა.

პეტროგრადი. ივლისის 25. დღეს საღამოთი შესდგა დროებითი მთავრობის სხდომა, რომელსაც განსაკუთრებით საქმიანობის ხასიათი ჰქონდა. ამ სხდომაზე დადგინდა წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვება ფლოტის აფიცერთა და მეზღვაურთა იმავე წესით, რა წესითაც აჯილდოვებენ არმიის აფიცრებსა და ჯარისკაცებს.

#### საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონპროექტის მიღება.

პეტროგრადი. ივლისის 25. მიიღეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონპროექტი.

#### ფინეთის მდინარეებით სარგებლობა.

პეტროგრადი. ივლისის 25. სამხედრო სამინისტრომ მიიღო დებულება მდ. პატარა იმატრის წყალვარდნილით სარგებლობის შესახებ.

#### ჯარისკაცთა უზრუნველყოფა.

პეტროგრადი. ივლისის 25. დეპუტატთა საბჭოების კანონპროექტი ჯარში გაწვეულთა უზრუნველყოფის შესახებ მთავრობამ საჭიროდ სცნო სამხედრო და ფინანსთა მინისტრებს გადასცეს.

#### ხალხის თავისუფლების პარტიის მე-9 ყრილობა.

პეტროგრადი ივლისის 25. გაიხსნა მეცხრე კრება სახალხო თავისუფლების პარტიისა, რომელიც პოლიტიკურ გარემოებათა გამო მოულოდნელად გადმოტანილ იქმნა მოსკოვიდან პეტროგრადს. თავმჯდომარეობს თავადი დოლგორუკოვი. დელეგატთა რიცხვი 200. მოისმინა რავინავერის მოხსენება შესახებ არჩევნებისა დამფუძნებელ კრებისათვის. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: აუცილებლად საჭიროა ჩქარა იქმნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, მაგრამ, რომ იგი ნამდვილი გამომხატველი იყოს ხალხის ნებისა, დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა უნდა შეფარდებულ იქმნას იმ დაწესებულებათა და ადგილობრივ გამგეობათა მოწყობასთან, რომლებიც არჩეულ უნდა იქმნენ მთელი ხალხისაგან. რაიცა წინასწარვე ნაგულისხმევია თვით დამფუძნებელ კრების არჩევნების კანონით. კრება აღიარებს, რომ საპატიო ორგანოებმა უნდა თვალყური ადევნონ როგორც წინასწარ სამუშაოს ისე სიების შედგენას. საპარტიო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რომ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში შეტანილ იქმნენ პარტიათა წარმომადგენელიც. დამფუძნებელ კრების არჩევნებში პარტიები გამოვლენ სათითაოდ. აღკრძალულია ბლოკის შეკვრა მონარქიულ და დამარცხებულ პარტიებთან; უნდა გამოყენებულ იქმნას ბლოკები ნაციონალურ, სარწმუნოებრივ, ადგილობრივ ყოფაცხოვრების ჯგუფებთან.

#### დამფუძნებელ კრების არჩევნები.

პეტროგრადი. ივლისის 26. დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირმა მცირედის შესწორებით მიიღო კომისიის წინადადება ციმბირისა და აზიის რუსეთში არჩევნებისათვის ვადად 15 დღის დანიშვნის შესახებ. ევროპის რუსეთში არხანგელის, ვოლოგდისა და ოლონეცის გუბერნიები ცალკე საარჩევნო ოლქებადაა გამოყოფილი. ოდესასა და ჩრდილოეთ კავკასიაში 2 საარჩევნო ოლქი იქნება. ჩინეთის მოსაზღვრე რუსებისათვის ცალკე საარჩევნო ოლქი იქნება.

#### ნიჟეგოროდის ამბები.

მოსკოვი. ივლისის 26. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ნიჟეგოროდის ამბები პეტროგრადის ივლისის 3—5-ის ამბებთან ყოფილა დაკავშირებული. ნიჟეგოროდის უწესრიგობის ყველანი დაიჭირეს სამართალში მისცეს სისხლის სამართლის მე-100 მუხლის ძალით.

#### კიდევ ურიცხობა.

პეტროგრადი. ივლისის 25. დეპ. საბჭოთა აღმასრ. კომიტეტის ბიურომ დაადგინა, რომ ბრძოლის ველზე დამყარებულ მდგომარეობაზე სამსჯელოთ და ქვეყნი

დაცვისათვის ზომების შესამუშავებლად მოიწვიოს ყრილობა, რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენლები რევოლუც. ორგანიზაციებისა, სოციალისტ. პარტიებისა, პროფესიონალ კავშირებისა, და მომხმარებელ საზოგადოებისა.

ცვლილებანი.

პეტროგრადი. ივლისის 25. პროკ. ბერნაცკისა და ფრიდმანს მინისტრთა ამხანაგების ადგილებზე დანიშნავენ. ტახტამიშევი სამინისტროს გამგეობიდან გადაეყენეს მას მინისტრის ამხანაგად დატოვებენ.

კომიტეტების გაუქმება.

პეტროგრადი. ივლისის 25. დროებითმა მთავრობამ დაადგინა გააუქმოს გერმანელთა ეკონომიურ ძალადობასთან მებრძოლი კომიტეტი.

დანიშვნა.

პეტროგრადი. ივლისის 24. კონტრ-ადმირალი საბლინი შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდლის შტაბის უფროსად დაინიშნა.

გამგზავრება

პეტროგრადი. ივლისის 26. მთავარ ბანაკში გაემგზავრა საგარეო საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო და რუმინეთის ელჩი.

ქაღალდის განაწილება.

პეტროგრადი. ივლისის 25. ვისაც აგვისტოსთვის მიღებული აქვს ნებართვა ქაღალდის მისაღებათ, იმათ ნებართვა დაუყოვნებლივ მიეცემათ სეკტემბრისთვის.

გერმანელთა აგენტების მოქმედება რუსეთში.

პეტროგრადი. ივლისის 25. დროებით მთავრობას ცნობები მისდის, რომ ცენტრალ რუსეთის ქალაქების სასტუმროებში გერმანელთა აგენტები რუსულ გაზეთებიდან საჭირო ცნობებს იღებენ და მაშინვე დეპეშით გერმანეთში გზავნიან. დიდ ყურადღებას აქცევენ სათადარიგო ნაწილებში ბრძოლის ველზე წასვლის შესახებ გამოტანილ რეზოლუციებს, ნაწილთა ნუმრებს, მათ ადგილებს და აგრეთვე სამარშო როტების შემადგენლობის შინაარს.

კერენსკის თხოვნ პორტფელის მიღებაზე და წერეთლის პასუხი

პეტროგრადი. ივლისის 24. ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალ კომიტეტმა კვირას საგანგებო რეზოლუცია გამოიტანა. ამ რეზოლუციით პარტიის წევრებს ნება ეძლევათ დროებით მთავრობის შემადგენლობაში შესვლისა, ვინაიდან მინისტრ თავმჯდომარე კაბინეთის შედგენის დროს იმით ხელმძღვანელობდა, რომ კაბინეთისთვის საერთო ეროვნული ხასიათი მიეცა, და ამასთან უზრუნველ ეყო იმ გავლენიან პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლობა რომელთაც მინისტრ თავმჯდომარეს სრული ნდობა აღუთქვეს ამასთან ერთად მხედველობაში მიღებული იქმნენ საქმის მომენტის მოთხოვნილებანი, რომელთა თანახმად ინიშნებოდნენ საპერსონალო კანდიდატურები ახალ სამინისტროსათვის პირველ მოწვევის სამინისტროდან. მოლაპარაკების დაწყებისას კერენსკიმ წერეთელს თხოვნით მიმართა, რომ მას საერთო ნაციონალურ კაბინეტში, რომლის დაარსების ინიციატივაც მას ეკუთვნოდა, — ერთ ერთი პორტფელი აეღო. უარი უთხრა რადგანაც, მისავე განცხადებით მას სურს უფრო აქტიურსა და უმაშვალო მოქმედებას შეუდგეს ორგანიზაციულად მოწყობილ დემოკრატიის მმართველ წრეებში. წერეთელი მთავრობის შემადგენლობაში თავის როლს შესრულებულად სთვლის, მაგრამ იგი შემდეგშიაც კიდევ ახალ კაბინეტს მხარს დაუჭერს და ყოველ მხრივ დახმარებას გაუწევს.

---

# უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

მოკავშირეთა კონფერენცია.

ლონდონი, ივლისის 25. გაიხსნა მოკავშირეთა კონფერენცია. ჩამოვიდენ რიბო და სონინო.

მეფის დაფიცება.

ათინა, ივლისის 22 (დაგვიანებულია). პალატის წინ მეფის დაფიცების ცერემონიალი მოხდა.

ინგლისი და რუსეთი.

პეტროგრადი, ივლისის 25. ინგლისის ელჩმა საგარეო მინისტრს გადასცა ინგლ. საგარეო სტატს სეკრეტარის დეპეშა, რომელშიაც უარყოფილია ხმები, ვითომც ინგლისი არ უშვებს რუსეთში სახ. ბეგარის მოსახდელად წამოსვლის მსურველებს.

ახალი გემები.

ნიუიორკი, ივლისის 23. „ასსოსიატედ-პრესს“ იტყობინება, რომ საზღვაო სამინისტრომ დაადგინა ჩამოართვას პატრონებს ყველა ის გემები, რომლებიც ამ ჟამად კეთდება ამერიკის ნავთ-საშენებლებში და მიღებულ იქმნას ზომები მათ საჩქაროდ დასრულებაზედ.

გერმანეთი და ზავი.

სტოკჰოლმი. როგორც ბერლინიდან ვოლფის სააგენტო (ივლისის 17 თარიღით) იუწყება, შაბათს სადამოს (ივლისის 15) საიმპერიო კანცლერის პრესის წარმომადგენლებისათვის უთქვამს: თქვენი მოწვევა სრულიად კონკრეტულ მიზეზით არის გამოწვეული· ინგლისის მინისტრ პრეზიდენტის ლლოიდ-ჯორჯის სიტყვამ და თემთა პალატაში ამ ბოლო დროს მომხდარ სჯა-ბაასმა, ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ ინგლისი ზავისკენ არ მიისწრაფვის. ამას ინგლისელ მინისტრის კარსონის დუბლინში განცხადებაც მოწმობს. მან ხომ განაცხადა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკებას მხოლოდ მაშინ დავიწყებთ როდესაც გერმანელები ჯარს რეინს იქით გადიყვანენო. ყველა თქვენგანმა იცის აგრეთვე თუ რუსეთისა და ინგლისის პრესა როგორის ქებით შეეგება ფრანგების დაპყრობით გეგმებს. მეტად საყურადღებო იქნება ყველასათვის ამ უმაგალითო სისხლის მღვრელ ომის ნამდვილ მიზეზების გამოსარკვევად ფრანგების დაპყრობით გეგმათა წერილობითი დამტკიცების გამოცხადება.

მე სახეში მაქვს მაისის 18—19 მომხდარ საფრანგეთის პალატის ფარულ სხდომების ანგარიშები. რომლებიც ეხლა ჩვენს ხელშია.

ეხლა მე სახალხოთ მივმართავ საფრანგეთის მთავრობას: განა უარყოფთ, რომ ამ ფარულ სხდომების დროს, რომელზედაც რუსეთიდან დაბრუნებული დეპუტატები მუტტე და კაშენი მონაწილეობდნენ, ბრიანმა და რიბომ აღიარეს, რომ საფრანგეთი, ვიდრე რუსეთის რევოლუცია მოხდებოდა, მეფის მთავრობის ფარულ ნების დართვით, ფართე დაპრობით გეგმას იმუშავებდა.

მე ვეკითხები, მართალია, რომ საფრანგეთის ელჩმა პალეოლოგმა, შემდეგ თავის შეკითხვისა, 1916 წ. დეკემბრის 27, თავის შეკითხვაზე დუმერგის მიერ რუსის მეფესთან მოლაპარაკებით შემზადებულ ხელშეკრულობაზედ ხელის მოწერის რწმუნებულობა მიიღო?

მართალია, რომ პრეზიდენტმა, ბერტოლდოს წინადადებით, ბრიანისაგან ნამალევათ, დაადასტურა ეს რწმუნებულება, და ბრიანმა ამაზე თანხმობა მხოლოდ შემდეგში-ღა განაცხადა?

ამ ხელშეკრულობით საფრანგეთის 1790 წლის საზღვრები უზრუნველ ყოფილიყო. ე. ი. მას უნდა ჰრგებოდა ელზას-ლოთრენი, საარის აუზი და მაასის მარცხენა მხარეზე მოზრდილი ტერიტორია· და განა ტერენ მჩენკომ, როდესაც უფლება მოიპოვა, ფრანგების დაპყრობით გეგმებზე, პროტესტი არ განაცხადა? განა მან არ განაცხადა: რუსეთს, რომ ეს გეგმები წინადვე სცოდნოდა, იგი არა მგონია თუ ომს გააგრძელებდაო. განა ტომას რუსეთში მოგზაურობას ტერენ შჩენკოს ეჭვების გაქარწყლება არა ჰქონდა მიზნად? ამ ფაქტებს საფრანგეთის მთავრობა ვერ უარჰყოფს. ამას გარდა მან უნდა აღიაროს რომ კარდახურული პალატის სხდომაზე ბრიანი ბევრს გაეცხა, რომ რიბო იძულებული გახდა პალატისათვის ფარული ხელ-შეკრულება გაეცნო, რომ შემდეგ სახალხო სჯა-ბაასის დროს ბრიანმა თვითვე აიხადა ნიღაბი და განაცხადა რომ რევოლუციონურ რუსეთმა მეფისეულ რუსეთის აღთქმა უნდა შეინახოსო. ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთისათვის სულ ერთი უნდა იყოსო, რასაც კი ამაზე რუსეთის დაბალი კლასები იტყვიანო.

საყურადღებოა აგრეთვე რომ, როგორც თვითონვე მუტტე მოწმობს, რუსეთში მისი ყოფნის დროს მოკავშირეთა შეკითხვაზე: არის თუ არა ზავისთვის ელზას ლოთრენი ერთად ერთი დაბრკოლება - განაცხადა. რომ ასეთი ფორმით დასმულ კითხვაზე მას პასუხის მიცემა არ შეუძლიან და მოიგონონ, რომ რუსეთის რევოლუცია საფრანგეთის სისხლით იყო ნასყიდი. რუსეთის სულიერ განწყობილებას კამენის განცხადება აყენებს შუქს. მისთვის ხომ რუსის წარმომადგენლებს უთქვამთ, რომ კონსტანტინოპოლის საკითხს ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევენ. კაშენის თქმით ამ განცხადებას რუსის ჯარის დელეგატებმაც მისცეს ხმა. განცხადებამ მაინც ვერ დაარწმუნა რიბო, რომ რუსის ერი მის აგრესიულ პოლიტიკას უარყოფით უყურებს და რომ პალატამ უარჰყო ფარულ სხდომაზე საფრანგეთის მიერ დასმულ ომის მიზნების განხილვა, რომ რეინის მარცხენა მხარეზე ტერიტორიალური მითვისება არ შეეწამაბინათ, რიბომ, როგორც ვექილმა ხერხს მიმართა და განაცხადა, რომ საჭიროა დაარსდეს სახელმწიფო, რომელსაც ზღუდეს მოვალეობა უნდა დაეკისროს საფრანგეთ გერმანიას შორისი. მისმა სიტყვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია კაი ეუბნებოდნენ კიდეც „სირცხვილია“-ო.

საყურადღებოა აგრეთვე და მეც მსურს მოგაგონოთ, რომ ოპაგერის საპასუხოთ, რიბომ სთქვა: „რუსის გენერლები გადმოგვცემენ, რომ რუსის ჯარი არასოდეს ასე შეიარაღებული და სურსათის მხრივ უზრუნველ ყოფილი არ ყოფილაო“. აქ ნათლად სჩანს რომ რიბოს მხოლოდ ის ჰსურდა, რომ რუსის ერი კვლავ სისხლით დაცლილიყო. მან კარგად იცოდა რუსეთის მდგომარეობა, მაგრამ მისგან ომის გაგრძელებას მხოლოდ იმიტომ მოითხოვდა, რომ ამერიკაც ომში ჩარეული ყო. დასასრულ კანცლერმა განაცხადა, რომ ხელთ გვაქვს რა იმის წერილობითი დამტკიცება, რომ ამ ომის პასუხის მგებელი ჩვენ კი არა, არამედ საფრანგეთია და ჩვენ მხოლოდ მოგერიებით ომს ვაწარმოებთ — კვლავ მზად ვართ ომი გავაგრძელოთ.

---

# ჩემი გულწრფელი აღსარება.

საქართველოსითვის ამ ჟამად მეორე რამ უმთავრესი საქმე მსურს: ეკლესიის სრული თავისუფლება და პოლიტიკური ავტონომია თავის ისტორიულ საზღვრებში. ეს ჩემი სურვილი, შეძლებისადა გვარად საქმითაც მინდა განვახორციელო და სიტყვითაც. ჩვენი ეკლესიის თავისუფლება, ბევრს გონია, ვითომც ახლოს, კარებთან იყოს მოსული, მაგრამ ეს მართალი არ არის. როგორც სასურველ ავტონომიის მოპოებას ისე ავტოკეფალიისას ჯერ კიდევ ბევრი შრომა, ჯაფა და ნივთიერი მსხვერპლი სჭირდება ქართველების მხრით საერო წოდების ინტელიგენციას ეს საქსებით შეგნებული აქვს, დ. ათასობით სწირავს ამ საქმეს მხოლოდ, სამწუხაროდ, ეს საანბანო ჭეშმარიტება, დღემდის სამღვდელოების უმრავლესობას ვერ შეუგნია. სამღვდელოება ავტოკეფალიას იძახის, მაგრამ რასჭირდება ამ ავტოკეფალიას იმას არ დაეძებს. ავტოკეფალიას თავის თავად ფული არ მოყვება. რუსები ცარიელ, გაფხეკილ ჩვენდა სასურველ ავტოკეფალიასაც არ გვაძლევენ, თორემ ფულიანს მოგვცემენ, რომ შესაფერისად მოვაწყოთ და ავამაღლოთ ჩვენი ეკლესიის დიდება?!

არა, ეს ნურავის გონია. ვიყავი რა გამსჭვალული ამ აზრით უკანასკნელ იმერეთის სამღვდელოების კრებაზე 15 ამა ივლისის, მე ჩემს თანა მოძმეებს მოვახსენე: ის ჯვრები, რომლებსაც ჩვენ ეხლა ვატარებთ და რომელნიც ახლო მომავალში წმიდა ნინას ჯვრებზე უნდა შეიცვალოს, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საქმის შევწიროთ მეთქი და იქვე ავიღე ჩემი ვერცხლის ჯვარი, უწინდელ ფასობაზე სამთუმნად ღირებული, და მამა კრების თავმჯდომარეს მივართვი. ასეთი ჩემი საქციელი ზოგიერთ ჩვენს მამებს ეოცათ, ეუცხოვათ. ეოცათ იმიტომ კი არა, რომ მე რვა შვილის პატრონს და სამოცი კომლიანი მრევლის მღვდელს, ზარალი მომდიოდა, არამედ იმიტომ, რომ ზნეობრივად ვალდებული იყვნენ თითონაც ასე მოქცეულიყვნენ. როდესაც ცოტაოდნათ ხმაურობა მიწყნარდა სამღვდელოების ერთმა ნაწილმა მთხოვა ჩემი ჯვარი ისევ უკან წამეღო. ამ პატივცემულმა მამებმა არ იცოდნენ რომ მე სიკვდილს ვარჩევდი და ამას არ ვიზამდი; მხოლოდ ის მომივიდა ცუდათ რომ წინდა წინვე გამზადებული მენდლებიც, რომლებიც იქვე ჯიბეში მქონდა იმ დღესვე შეწირულ ჯვართან ვერ დავდევი, თუმცა შემდეგში ესეც შევასრულე უმტერო კაცი არ არის. ალბათ ასეთები მეც მეყოლება. აი ეხლა ეს ჩემი „მეგობრები“ გამომდგარან და ყვირიან განსაკუთრებით შორაპნის მ ზრაში: მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ ჯვარს, სახარებას უარი უთხრა და ანაფორა გაიხადაო. ასეთ ხმებს მე დღემდის ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ როდესაც ასეთი ხმების გავრცელებაში, რომელიც ნაძირალებს მდაბიო ხალხში გადაუტანიათ, მე ჩემმა ამხანაგებმა და მეგობრებმა დამარწმუნეს და მეც ჩემ ზნეობრივ ვალდებულებად მიმაჩნია, უსასტიკესი პროტესტი გამოუცხადო ჩემ ცილის მწამებლებს და საჯარო განვაცხადო, რომ მე საქართველოს უზომო სიყვარულით ღრმა პატივს მცემელი ვარ ჯვარისა, სახარებისა და მღვდლობის ხარისხისა და ასეთივე დავრჩები სიკვდილამდის, მხოლოდ ჩემ მტრებს ურჩევ, რომ მათ ჯვარი სახარება გულში შინაგან თავის არსებაში ატარონ და ცილის წამებას ერიდონ, თუ თავისი თავი ჯვაროსნებათ მოაქვსთ.

**მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე**

---

# ახალი ამბავი.

✦ დამფუძნებელ კრების საარჩევნო პრეზიდიუმის სხდომები მოხდება კვირაში ერთხელ კვირაობით მხოლოდ თუ საჩქარო საქმე იქმნა მაშინ სხვა დღეებშიც.

✦ ივანე გომართელს „ხალხის თავისუფლების“ თანამშრომლობისათვის თავი დაუნებებია.

✦ საქალაქო არჩევნები ოზურგეთში. მიღებულ ცნობის მიხედვით, საქალაქო არჩევნებზე: სოც.-რევოლუც. 3 და სხვა პარტიებისაგან 5 კაცი.

✦ დუშეთის ქალაქის არჩევნები. განასაჩივრა იქაურმა მამასახლისმა. მიზეზად განსაჩივრებისა დასახელებულია შემდეგი. ქალაქის მილიციის კომისარები გამოცხადდენ ქალაქის საარჩევნო კომიტეტში, მოიტაცეს მთელი საქმის წარმოება და და არჩევნებს ხელმძღვანელობდა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტიო.

✦ გუშინ ქუთაისში ჩხრეკა და დაპატიმრება აღარ მომხდარა.

✦ საქალაქო არჩევნების გარშემო. საარჩევნო ბარათები ცენტრალ უბნის მცხოვრებთათვის რიგდება ქალაქის მმართველობის შენობაში, წყლის გიღმა უბნისთვის ქართულ გიმნაზიაში, სამთო უბნისთვის ოლქის სასამართლოში და რეალ სასწავლებლის შენობაში.

✦ საგუბერნიო აღმ. კომიტეტში. ივლისის 27 ის დანიშნული სხდომა არ შესდგა, რადგან წევრთა კანონიერი რიცხვი არ ღაესწრო და უმეტესობამ დაიგვიანა. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გრიგოლ ურატაძემ განაცხადა, რომ სხდომაზე წევრნი უსათუოდ იმ დროს უნდა გამოცხადდენ, რა დროც ნაჩვენებია წესები.

✦ სადღეს დღეს სოფელ დიმში ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გ. ს. სასარგებლოთ გაიმართება დიდი სახალხო სერინობა.

✦ სანოვაგე. რიონის სადგურზე ქუთაისის საჭიროებისთვის მოვიდა 60 ვაგონი სანოვაგე (სიმინდი და პურის ფქვილი)

✦ ინსტრუქციების გაგზავნა. საგუბერნიო აღმ. კომიტეტმა სამაზრო კომიტეტებს გაუგზავნა ინსტრუქციები დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსახდენათ.

✦ პეშეხონოვის ცნობა. სურსათის სამინისტროს რწმუნებული პეშეხინოვი იტყობინება, რომ დროებით უნდა შესწყდეს სამკურნალო მცენარეულობის შესყიდვა და საზეთე ბალახის შეგროვება.

✦ დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ. ივლისის 26-ს მოხდა თათბირი დამფუძნებელ კრების არჩევნების ორგანიზაციის მოსაწყობათ კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი გრ. ურატაძე. თავმჯდომარემ კრებას გააცნო დამფუძნებელ კრებას არჩევნების დებულებები და წესები, რომლებიც არ ის შემუშავებული ამიერ კავკასიისათვის. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი და ორი მდივანი; პრეზიდიუმი ბ-ნი გრ. ურატაძე და ე. ... მდივნებად ... ქუთათელაძე და ბ. შევარდნაძე.

✦ განცხადება. საგუბერნ. აღმ. კომიტეტის კანცელარია მოთავსებულია საგუბერნიო მმართველობის შენობაში დილის 11 საათ. 2 საათამდის. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე. აქ იმყოფება ამიერ კამიტეტის რწმუნებული. ქუთაისის გუბერნიაში.

---

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივლისის 25. ბროდის სამხრ.-დასავ. სოფ. დუბოსა და ზარკოვის მიდამოებში მტერი ზარბაზნებს მკაცრად გვიშენს. გრეიმალოვის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა რამდენადმე უკან დასწია მტრის მოდარაჯე რაზმები. ბრუხის დასავლეთით მტრის ჯარი გაჩქარებით მკიდრო ყანას. მდ. სერეტზე, განსაკუთრებით სუჩავაზე მტერი ჩვენ ჯარს კვლავ უკან ახევინებს. სოფლები ვასკოუცი, სატუმენი, ბდუცა, ბურა და გლიტა მოწინაალმდეგემ დაიპყრო.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივლისის 25. კიმპოლუნგის მიმართულებით სად. მოლიტის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები უბრძოლველად დაიპყრო. აქ მამაცად მოქმედებდა მე-260 პოლკის სამოსწავლო ნაწილი კაპ. ლუშკინის მეთაურობით, რამდენიმე იერიში მოიგერიეს და 2 ტყვიისმფრქვევ ელით მტერს უკან დაახევინეს. ეფრეიტ. პროცენკომ და ჯარისკაცმა ვალკტრუბმა 3 გერმანელი აფიცერი და 12 ჯარის კაცი ტყვედ წამოიყვანა. მემინეს დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. ბისტრიცაზე კოტერგეში — პაიალოპ — ბორტმაის მიდამოებში ჩვენმა 2 პოლკმა თავისი ნებით მიატოვა პოზიციები და „ზურგში“ გამოსწია, ამის გამო მთელმა დივიზიამ რამდენიმე ვერსით აღმოსავლეთისაკენ დაიწია. ფოკშანის მიმართულებით საარტილერიო მომზადების შემდეგ ფოკშანი-ჩერესეის რკინიგზისა და ფოკშანი-ჩიუსლეის შარა გზის გაყოლებით მტერმა წინსვლა იწყო. ივლისის 24 ამ ადგილებში ჩვენმა ჯარმა მდ. ტირლადესუზე ჩვენს ჯარს უკან დაახევინა.

მფრინავთა მოქმედება.

პეტროგრადი. ივლისის 25. ჩვენმა მფრინავებმა სად. ბარანოვიჩში მარჯვედ ჩამოყარეს ყუმბარები.

ბალტიის ზღვა.

პეტროგრადი. ივლისის 25. სამ უკანასკნელ დღის განმავლობაში გერმანელთა მფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს რიგის ყურეს, სადაც ამ ბოლო დროს გერმანელებმა ჰაერში ზვერვა გააძლიერეს.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივლისის 23, სტოხოდზე სერპუნის რკინისგზის სადგურის მიდამოებში ჩვენი მზვერავთა რაზმი პოდპორუჩ. დუხადნევის მეთაურობით ყელამდე წყალში მდ. სტოხოდის ტოტზე გადავიდა, მავთულის ხლართები გადასჭრა, მტრის ყარაულებს შეუტია, ნაწილი დამალა და ნაწილი დაატყვევა. კოველის მიმართულებით, სოფ. ვზლიაცკისა და კუხარის მიდამოებში მოწინააღმდეგის 7 როტამ ჩვენს პოზიციებს შემოუტია, მაგრამ ზარბაზნების სროლით უკუ ვაქციეთ. მდ. ზბრუჩზე კაბრინიცის მიდამოებში ჩვენმა 7 მზვერავმა პოდპრაპორშჩიკ დემინის მეთაურობით მარჯვედ იმოქმედა; მოულოდნელად თავს დაესხნენ მტრის 30 კაცს. ჩერნოვიცის აღმოსავ. ბოიანის მიდამოებში დოლჟონ ლენვორანოს ტყე ავიღეთ. ჩვენმა ერთმა პოლკმა ბონის სამხ. დასავ. ტყვეთ წამოიყვანა 20 აფიცერი და 500 ჯარისკაცი, ხელთ იგდო 4 ტყვიის მფრქვეველი მდ. სერეტის დასავლეთით მდ. სუჩავაზე მტერმა სოფ. ნეიჰრაუცი დაიპყრო.

რუმინეთის ასპარეზი.

კიმპოლუნგის მიმართულებით მოწინააღმდეგის ძალდატ ნებით ჩვენმა ჯარმა სევამის აღმოსავ. უკან დაიხია. კოტუ-მიხალის მიდამოებში ჩვენი 10 აფიცრის და

100 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი მტრის პოზიციებს თავს დაესხა. ხელთ იგდო 3 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ათეული დავხოცეთ.

მფრინავთა მოქმედება.

მდგომარეობა უცვლელია.

მფრინავთა მოქმედება

ნოვო გლიზის მიდამოებში კისმოთოვიჩმა მტრის საფრენი ჩამოაგდო. მფრინავი მოკლულია, მჭვერავი დაიჭრა.

აღმოსავლეთით ასპარეზი

პეტროგრადი. ივლისის 24. ბროდის დასავ. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩერნოვიცის ჩრდილ.-დასავლეთით სოფ. ტოპოროვკა სარანჩეს მიდამოებში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა შეტევით რამდენიმე მაღლობი აიღეს და აღნიშნულ სოფლებიდან მტერი განდევნეს. კოლკოვნიკ მერკურავის რაზმმა ოთხზარბაზნიანი ბატარეა და ტყვიის მფრქვევლები იგდო ხელთ. მტერმა დიდი ძალებით შემოტევა დაიწყო და ჩვენ ჯარს მთავარ პოზიციისაკენ დაახევინა, ზარბაზნების გამოზიდვა ვერ მოვასწარით და გავაფუჭეთ. ჩერნოვიცის სამხრეთით მტერი შემოტევას განაგრძობდა განსაკუთრებით მდ. სერეტისა და ნეჩავის ველებზე. მტერმა დაიპყრო სოფლები:

მლიბოვკა, კამეიკა, ვოლო ჩინეკი, გადიკვჰალვაგორი და ქალ. რადაუცი. რადაუცის ჩრდილოეთით მტერი ვერ შევაჩერეთ.

რუმინეთის ასპარეზი

კიმპილუნგის მიმართულებით გერმანელთა წინსვლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა მტერს ვერ გაუძლია და აღმოსავლეთით დაიხია. მდ. ბისტრიცაზე დაბა ბრასჩეკთან მტერი გადმოვიდა.

კავკასიის ასპარეზი მფრინავთა მოქმედება.

ივლისის 23 ღამეს ჩვენმა მფრინავებმა ბარანოვიჩში ყუმბარები ჩამოყარა. რამდენიმე სადგურს მოხვდა.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. ივლისის 24. ბელგეთში ცვლილება არ ყოფილა მუაზის ფერმის აღმოსავლეთით, ლაბაველის სამხრეთით, ავოკურის ტყეში, ალზას-იუტეტრიზთან გერმანელები იერიშის მოტანას ეცადნენ, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ამ ადგილებში ზარბაზნების სროლა დროგამოშვებით ძლიერდება. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. ივლისის 26. საფრან. ოფიც. პირველ ღამეს მდ. ენზე არტილერია ორივე მხრივ ენერგიულად მოქმედებას. კალიფორნიის დასავლეთით უკუვაქციეთ მტრის რაზმი, რომელიც ჩვენ სანგრებს უახლოვდება. ზემო ელზასში სენმიერის ჩრდილოეთით მტერი მოულოდნელად თავდასხმას გვიპირებდა, მაგრამ ცდამ უქმად ჩაუარა. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ შვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი. ივლისის 24. ოფიციალი. უენის ჩრდილოეთით გერმანელებმა რამდენიმე ალაგას იერიშის მოტანა სცადეს. კაზებატის ვაკე გორაკზე გერმანელთა 2 იერიში მოვიგერიეთ. ქიუვეკურის სამხრ. შუაღამისას ძლიერი იერიში მოიტანეს გერმანელებმა, ცხოველი ბრძოლის შემდეგ თავდამსხმელები სანგრებიდან განვდევნეთ. ჩვენი ბრძოლის ხაზი ქვლავ აღვადგინეთ. მაასის ორთავე ნაპირზე მორტჰომის მიდამოებში და კორიურის ტყეში განსაკუთრებით საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ივლისის 26. იტალ. ოფიც. რანტინეზე მოწინაამდეგის მზვერავების გავფანტეთ. ჩვენი მზვერავები რამდენიმე ალაგას მტერს აწუხებდნენ და ტყვეები წამოიყვანეს. კარპიაში გრანდას მაღლობზე მტრის იერიში მოვიგერიეთ. იულიის ალპებზე რომბლვენის მაღლობის პოზიციების დაპყრობას ცდილობდა მტერი, მაგრამ კონტრიერიშით მოვიგერიეთ. ვოსკომალის სამხრ.-აღმ. რამდენიმე ადგილი დავიპყრეთ. ვლოდარის ახლო ჩვენმა დარაჯებმა ტყვეები ჩაიგდეს ხელში.

მაკედონიის ასპარეზი.

სოლუნი. ივლისის 23. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. რამდენიმე ალაგას მოდარაჯეების შეტაკება მოუხდათ საშუალო სიძლიერის საარტილერიო ბრძოლაა.

რიგის ყურეზე თავდასხმა

პეტროგრადი. ივლისის 25. კვირას მტრის 8 საჰაერო გამანადგურებელი და ყუმბარის მზიდველი თავს დაესხა რიგის ყურეს სანაპიროებისა და კუნძულებს და 50 ყუმბარა ჩამოაგდეს. ზარალი და მსხვერპლი არ ყოფილა. ყუმბარის ნამტვრევები არენსბურგში მდგომ საგზავრო გემს მოხვდა, რომელზედაც ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. ბოლო დროს გერმანელთა საჰაერო რაზმები ხშირად ჩნდებიან რიგის ყურესა და ფლოტზე.

ქ. ხოტინის გადარჩენა.

კიშინევი. ივლისის 24. ხოტინის სამაზრო კომისარი ატყობინებს, რომ რუსებმა გერმანელები ხოტინიდან 15 ვერსტის მანძილზე განდევნეს.

პარიზი. ივლისის 25. ბელგეთში მძაფრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე კორიურის ტყეში პირველი ხაზის სანგრებში მტერი შემოგვეჭრა, მაგრამ კონტრიერიშით გავდევნეთ. დანარჩენ ასპარეზზე ზარბაზნების ბრძოლა უფრო მწვავეა სერნის დასავლეთით იურტებიზის მიმართულებით.

ჰავრი. ივლისის 22. თოფის სროლაა. დიქსმიუდეს მიმართულებით პატარპატარა შეტაკებებია ხელის ყუმბარების საშუალებით.

პარიზი. ივლისის 25. გუშინ მთელ ასპარეზზე საშუალო სიძლიერის საარტილერიო ბრძოლაა. მდ. წრნის მოსახვევში მტრის პოზიციებს ზარბაზნების განმანადგურებელ სროლა ავუტეხეთ. ლივანოვის ახლო ინგლისელმა მფრინავმა მტრის ბანაკს ყუმბარები დაუშინა.

## ეროვნული კითხვა

გენერალურ სეკრეტარიატის უფლებეჲ.

ცენტრალ რადის კომიტეტის 16 ივლისის სხდომაზე განხილულ იქმნა გენერალურ სეკრეტარიატის დებულების პროექტი. დებულების ბევრმა პუნქტმა წინაღმდეგობა გამოიწვია არა-უკრაინულ დებუტატების მხრით. მიღებულ დებულების ძალით, უმაღლეს სათემო ორგანოდ უკრაინის მართვა გამგეობაში არის გენერალური სეკრეტარიატი, რომელსაც ცენტრალი რადა ადგენს უკანასკნელს წინაშე სეკრეტარიატი პასუხისმგებელია და დამტკიცებულ იქნება დროებით მთავრობის ყველა თანამდებობას უკრაინაში გენერალ სეკრატარიატი დაიკავებს, ან მისი ხელქვეით ორგანოები. დროებით მთავრობას ყველა კანონებს მხოლოდ მაშინა აქვს ძალა უკრაინაში, როდესაც მას სათემო მთავრობა გამოაქვეყნებს, სათემო „მთავრობის უწყებებში" უკრაინულ ენაზე.

ტყვე უკრაინელები ეროვნული ფონდისათვის.

უკრაინელ ჯარის-კაცთა ერთმა ჯგუფმა, რომელნიც გერმანელთა ბანაკებში იმყოფებიან ტყვედ, ცენტრალ რადას უკრაინას ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად 1280 მანეთი გაუგზავნეს.

უკრაინის წარმომადგენელი დროებით მთავრობაში.

ცენტრალ რადას კომიტეტმა თავის წარმომადგენლად დროებით მთავრობასთან პუბლიცისტი სტებნიცკი გაგზავნა.

მაზრის თავად-აზნაურების ძღვენი.

ლუბენის სამაზრო თავად-აზნაურობამ უკრაინის ცენტრალი რადას საჩუქრად მიართვა ლუბენის მაზრაში ვრცელი მამულები მოძრავისა და უძრავის ჯინებით.

სკოლის უკრაინიზაცია.

სამაზრო ერობა პოლტავაში საჩუქრად მიღებულ ქალთა კერძო გიმნაზიის გაეროვნებას ახდენს და აქცევს მას პირველ უკრაინულ გიმნაზიად ქალებისა და ვაჟებისათვის. იმას გარდა, რადგან საგნების სწავლები დასაწყის კლასებში უკრაინულ ენაზე იქნება, განზრახულია უკრაინის ისტორიის უკრაინულად სწავლება უმფროს კლასებშიც.

უკრაინელების შევიწროვების გამო სარატოვში.

უკრაინის ცენტრალმა რადამ თხოვნით მიმართა სარატოვის საგუბერნიო კომისარს, რათა სარატოვის გუბერნიაში მცხოვრები უკრაინელები დაცული იქნან ძველ მკვიდრ გლეხთა შევიწროვებისაგან, რომელნიც ართმევენ უკრაინელებს მიწას და და არ უშვებენ მათ სასოფლო ყრილობაზე რადა მიუთითებს კომისარს იმ კეთილ განწყობილებაზე უკრაინაში მცხოვრებ ველიკო რუსებისადმი, რომელსაც უკრაინელ ერი იჩენს მათდამი.

(გაზეთებიდან.)

მეზელერისა და კანცლერის თათბირი პოლონეთის შესახებ.

ლონდონის პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ თათბირს, რომელიც კანცლერი მიხაელისისა და პოლონეთის ღენ. გუბერნატორი ბეზელერის შორის გაიმართა და აღნიშნავენ „კროიც ცაიტუნგის" სიმპტომატიურ გამოსვლებს, რომელიც პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ ილაშქრებს. გაზეთი აცხადებს, რომ ღრმად სერიოზული ეკონომიური მიზეზები არსებობს, რომლის მიხედვით გავლენიანი პოლონური წრეები არა სასურველად სთვლიან პოლონეთის რუსეთისგან გამოყოფასო. შემდეგ გაზეთი (წერს): ვინაიდგან შესაძლოა, რომ შემდეგისათვის გერმანეთს მოუხდეს პ სუხის მგებლობის ტარება, ჩვენ წინ აღუდგეთ უნდა პოლონეთის სახელმწიფოს განვითარებასო.

## რ უ ს ე თ ი.

სოციალისტ-სტუდენტთა ბლოკის დადგენილება.

სტუდენტობის სოციალისტურმა ბლოკმა ოდესაში დაადგინა, რომ სტუდენტები შემდეგ კურსებზე გამოუცდელად გადაიყვანონ. და უკიდურეს შემთხვევაში ბლოკი არც გაფიცვის წინაშე დაიხევს. ბლოკმა მოითხოვა აგრეთვე რამოდენიმე პროფესორის თანამდებობიდან გადააყენება სტუდენტთა საბჭოს შემადგენლობაში დაშვების კითხვა გადიდვა შემოდგომამდის, რათა მოაწყონ რუსეთის ყველა უნივერსიტეტების სტუდენტობის გამოსვლის ორგანიზაცია.

ქურდები მილიციაში.

გამოირკვა, რომ ქალაქ ვოლსკში (სარატოვ-გუბერ.) მილიციის შტატში შედის რამოდენიმე ბოროტ-გამზრახველი, ჯიბგირი, ცხენის ქურდი, ყალბი ფულების მკეთებელი და სხვა. ისინი უკვე დაითხოვეს

ახალი კურსები.

ნოვო-ალექსანდროვის სააგრონომო ინსტიტუტის მასწავლებლებმა ხარკოვში გახსნეს ქალთა ახალი უმაღლესი კურსები სასოფლო მეურნეობისა და ხეტყის წარმოებისა. თხოვნები პირველ კურსზე შესვლის შესახებ მიიღება ამა წლის 20 აგვისტომდე. დირექტორად დანიშნულია პროფესორი ალოვი.

ექსცესები.

დონის როსტოვში პურზე ბარათების შემოღებას დიდი ექცესები მოჰყვა. დარბეული იქნა რამოდენიმე დუქანი.

მანიფაქტურულ მაღაზიების დახურვა.

ქალაქ კრემენჩუგში ადგილობრივ მთავრობის თვითნებობა 20 ივლისს იმით დაგვირგვინდა, რომ სასურსათო მთავრობამ ბრძანება გასცა ქალაქის ყველა სამანუფაქტურო მაღაზიების დახურვისა.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.


## რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 47 წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 55 „ |
| „ | ღამის | 11 ს. 42 „ |
| ფოთიდან | დილის | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. „ |
| | დილის | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | დილის | 9 ს. 24 „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. 20 წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | დილის | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | დილის | 7 ს. 57 „ |
| | დღით | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | დღით | 4 ს. 40 „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. 40 წ. |

## ექიმები:

ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შახავანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტგენშტეინის სახლი

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი

ა. მ. ასათიანი შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 1.

# მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში.

# ეროვნულ-დემოკრატიული

## პარტიაში ჩაწერა

## შ ე ი ძ ლ ე ბ ა

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში

თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

# 1917 „საქართველო" 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით — 9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო"**

ელექტრო „ამპირ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 27 ნაჩვენები იქნება

# ციმბირელი ატამანი

ციმბირელი კლეოპატრა დრამ. 5 ნაწ.

მონაწ. რომანოვისა და პოლონსკის.

ნახულია ადგილი გერმანელობის გასადევნათ სანახაობა

ანონსი: ივლისის 31 ნაჩვენები იქნება არა ჩვეულებრივი ქალი. მონაწ. ბარანცევიჩის ქრონიკა გომონი

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 27 ნაჩვენები იქნება საინტერესო სურათები

# კერენსკის ყოფნა კიევში

სანახაობა. მან აირჩია ღვთაებათ სიყვარული და ყოვლი პატიება

მხატვრული დრამა 6 ნაწილად რიტა ჟოლიეეს მონაწილეობით

ანონსი. ივლისის 31 ნაჩვენები იქნება ბედის მარიონეტები ტრაგიკული დრამა 4 ნაწ. ქრონიკა გომონი

## ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მდგომარე ივლისის 27 რიცხვიდან 30-დი. დილის 6 საათიდან 2-დი და საღამოს 6-დან 9. მოხდება საარჩევნო ბარათების კონვერტებისა და ბიულეტენების დარიგება,

მათ მისაღებათ ქალაქის ამომრჩევლებმა პირადათ უნდა მიმართოს.

1. ცენტრალურ საარჩევნო უბანში — ქალაქის გამგეობის დარბაზში.
2. წყალგზმა საარჩევნო უბანში — ქართული გიმნაზიის შენობაში.
3. სამთო უბანში შემდეგს ადგალებში:

ა, რეალური სასწავლებლის შენობაში.

ბ, ოლქის სასამართლოს შენობაში.

ვ, ზემო საფირჩხიამ — სამინისტრო შკოლის შენობაში.

გ, ქვემო საფირჩხიამ სამრევლო შკოლის შენობაში.

დ, მწვანეყვავილამ ადგილობრივ შკოლის შენობაში.

ე, ებრაელების უბანმა ებრაელთა საზოგადოების შენობაში.

საარჩევნო ბარათების, კონვერტებისა და ბიულეტენების მიღების დროს ამომრჩევლებმა უსათუოდ ხელი უნდა მოაწერონ საგანგებო რვეულებში

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი.


სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში